



შენაგავიხსოვოს აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

3 თებერვალი 2021 წელი

N 15/36

ეგზ.: N 1

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2018-2019
წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	4
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	7
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
	2. აუდიტის მიგნებები	9
დანართები	დანართები	33
	საკონტაქტო ინფორმაცია	38

შემაჯამებელი მიმოხილვა

საბიუჯეტო რესურსები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას შესაბამისად 25%¹ და 15%² დააკლდა.

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა

უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. ზოგ შემთხვევაში, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გამოუყენებელი ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და შეისყიდა ისეთი პროექტები, რომლებიც უფუნქციოა და არ იყენებს. შესაბამისად, ბიუჯეტიდან გაწეულია 1,201.5 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯები და დასახული მიზანი არ არის მიღწეული.

შემოსავლების მართვა

მიუღებელი შემოსავლები

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები, შემოსავლების ადმინისტრირების კუთხით, სუსტია:

- მუნიციპალიტეტმა იჯარით გაცემული ქონებიდან დროულად ვერ მიიღო 14.8 ათასი ლარის შემოსავალი;
- 2018-2019 წლებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაუხდელობა დასუფთავების მოსაკრებელმა 51.5 ათასი ლარი შეადგინა.

ქონების მართვა და განკარგვა

არაუფლებამოსილი პირების მიერ ქონებით სარგებლობა

მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს მის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას. შედეგად, ქონების ნაწილი, დაკავებულია არაუფლებამოსილი პირების მიერ

ჩატარებელი ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

ხელშეკრულებების ადმინისტრირება

მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი ზრდა

მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად გაზარდა სამუშაოების მიწოდების ვადა და მიმწოდებლებზე არ გაავრცელა საჯარიმო სანქციები. მიმწოდებლები ასევე არ დაჯარიმდნენ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო.

¹ ვერ იქნა ათვისებული 1,116.6 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 1,230.8 ათასი ლარი.

რეკომენდაციები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიამ:

- ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დასაფინანსებლად.

- დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები სრულდება ხარისხიანად და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; რეგულარულად აწარმოოს შესყიდული ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, აამოქმედოს გარანტიის მექანიზმი, ნაკლოვანებების/ხარვეზების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობის შესაძლებლობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

- მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი და პირობა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სამუშაოების დროულ დასრულებაზე; მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. გარდა ამისა, ჩაატაროს გადაუხდელი ჯარიმების ინვენტარიზაცია და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები კუთვნილი თანხების მისაღებად. მუნიციპალიტეტმა მომავალში არ დაუშვას საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას. ამასთანავე, უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

- შეიმუშაოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ინსტრუქცია და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას.

- განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა.

წინაწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ:

- შეიმუშაონ სტრატეგია საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, განკარგვისა და სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ, მუნიციპალიტეტის ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებისა ან/და დროულად გამოვლენის მიზნით. მიზანშეწონილია, თვითმმართველმა ერთეულმა აღნიშნული ქონება გასცეს სარგებლობის უფლებით, რაც ხელს შეუწყობს, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ადგილობრივ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტების გადასახდელებმა შეადგინა, ჯამში, 18,840.3 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:³

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

³ 2018-2019 წლებში მოქმედი რედაქციების მიხედვით.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 10 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 31 სოფელს და ადმინისტრაციულ ცენტრს – ქ. ნინოწმინდას.⁴ მუნიციპალიტეტის ფართობია 1354 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 21 ათას კაცს.⁵

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 4,427.8 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 10,952.3 ათასი ლარი, განათლება – 943.2 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 1,524.5 ათასი ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 857.3 ათასი ლარი, ხოლო თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 135.2 ათასი ლარი.

⁴ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge

⁵ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2018 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ბიუჯეტის შესრულება და ფინანსური რესურსების მართვა

კრიტერიუმი. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁶ მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, საბიუჯეტო პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2018-2019 წლების შემოსულობებმა – 20,069.3 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 18,840.3 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2018-2019 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წელი			2019 წელი			სულ ფაქტი
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
შემოსულობები	7,748.8	8,372.5	108%	10,766.0	11,696.8	109%	20,069.3
შემოსავლები	7,728.8	8,308.1	107%	10,746.0	11,605.3	108%	19,913.4
არაფინანსური აქტივების კლება	20.0	64.4	322%	20.0	91.5	458%	155.9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	-	0	0	0	0
ვალდებულებები ს ზრდა	0	0	-	0	0	0	0
გადასახდელები	9,091.0	7,485.2	82%	12,996.9	11,355.1	87%	18,840.3
ხარჯები	4,558.6	4,069.4	89%	4,961.0	4,550.6	92%	8,620.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,532.4	3,415.8	75%	8,010.6	6,779.8	85%	10,195.6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	-	0	0	-	-
ვალდებულებები ს კლება	0	0	-	25.3	24.7	-	24.7
ნაშთის ცვლილება	-1,342.2	887.3	-	-2,230.9	341.7	-	-

ორივე საანგარიშო წლისათვის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო კრიტერიუმით

⁶ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხლი 7, პუნქტი 1; მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტები.

გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სპორტდარბაზების, საბავშვო ბაღების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 1,343.6 ათასი ლარი, საიდანაც დაიგეგმა 1,342.2 ათასი ლარის გამოყენება. მიუხედავად ამისა, ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (ზრდამ) 887.3 ათასი ლარი შეადგინა, შესაბამისად წლის ბოლოს დაფიქსირდა 2,230.9 ათასი ლარის ნაშთი. მათ შორის 1,342.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.⁷ 2019 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის სრულად გამოყენება, თუმცა წინა წლის მსგავსად დააგროვა 341.7 ათასი ლარი. საბოლოოდ, 2020 წლის პირველი იანვრისთვის საბიუჯეტო ნაშთმა 2,572.6 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, 1,816.8 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ნაშთებიდან მუნიციპალიტეტს 2019 და 2020 წლების პირველი იანვრის მდგომარეობით საბანკო დეპოზიტზე განთავსებული ჰქონდა 700.0 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს დეპოზიტზე ერიცხებოდა შესაბამისი სარგებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანი უნდა იყოს, რომ საბიუჯეტო რესურსები გამოიყენოს კონკრეტული პროგრამების განსახორციელებლად და არა საპროცენტო სარგებელის მისაღებად.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და ამასთანავე, დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია N1

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დასაფინანსებლად.

2.2 ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

2.2.1 უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ

⁷ თავისუფალი ნაშთი – ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; მუხლი 6).

განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება. აუდიტის მიმდინარეობისას ჯგუფმა შერჩევით დაათვალიერა 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები. დათვალიერებით გამოვლინდა სულ 1,274.5 ათასი ლარის ღირებულების ხარვეზებით შესრულებული სამუშაოები. (იხ. დანართი #1). მაგალითად, 2018-2019 წლებში განხორციელდა სოფელ გორელოვკის მესამე საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 417.7 ათასი ლარი⁸ და ქ. ნინოწმინდაში №3 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით – 100.5 ათასი ლარი⁹. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ობიექტები დაზიანებულია.

აღნიშნული ობიექტების გარდა, დათვალიერებით გამოვლინდა სულ 756.3 ათასი ლარის ღირებულების უხარისხოდ შესრულებული სამუშაო. კერძოდ, დაზიანებულია გზები,¹⁰ საბავშვო ბაღები¹¹ და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები.¹²

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, ობიექტებზე შესრულებულ სამუშაოებს, როგორც წესი, ამოწმებდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ინსპექტირების ჯგუფი; ბეტონის გზების ჩაბარებისას ტარდებოდა ბეტონის ლაბორატორიული კვლევა, ხარისხის დასადასტურებლად; ამასთანავე, მუნიციპალიტეტი პროექტებს იბარებდა სხვადასხვა საექსპერტო ორგანიზაციის დადებითი დასკვნის საფუძველზე.¹³

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

აუდიტის ობიექტს 2017-2019 წლებში შპს „ქრიზოლითი +“-თან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 50 ათას ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებაზე,¹⁴ ღირებულებით 454.6 ათასი ლარი.¹⁵ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმწოდებელი პასუხისმგებელი იყო შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები თუ რა სანქციები გაატარა შპს „ქრიზოლითი +“-ის მიმართ, რომელმაც დაუშვა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარება.

⁸ NAT180020335.

⁹ NAT190006487.

¹⁰ NAT180002408 -154.8 ათასი ლარი, NAT180015281 -115.6 ათასი ლარი, NAT180002408 - 107.1 ათასი ლარი, NAT180002408- 54.5 ათასი ლარი, NAT190008372-53.5 ათასი ლარი.

¹¹ NAT180006972 -65.1 ათასი ლარი, NAT180006220 - 55.2 ათასი ლარი, NAT180006220 - 19.7 ათასი ლარი, CMR19113119- 6.0 ათასი ლარი.

¹² NAT180016971, NAT18007015, NAT190014821 - 81.5 ათასი ლარი, NAT190021714, CMR190113014- 37.0 ათასი ლარი, NAT190017405 - 6.3 ათასი ლარი.

¹³ შპს „ქრიზოლითი +“, შპს „აკადემპროექტი“.

¹⁴ ხელშეკრულება № 160/52.

¹⁵ NAT170007689.

დასკვნა

რეკომენდაცია N2

დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ ჩაუტარებიათ ობიექტების მონიტორინგი, რაც მათ საშუალებას მისცემდა გამოეკვლიათ ხარვეზების მიზეზები და მიმწოდებლებისათვის მოეთხოვათ დაზიანებების გამოსწორება.¹⁶ შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით გამოსწორება.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ინფრასტრუქტურული ობიექტის მდგომარეობას მერია ამოწმებს მხოლოდ საგარანტიო ვადის გასვლის ბოლოს. აღნიშნული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების დროულ აღმოფხვრას.

მუნიციპალიტეტში დანერგილი შესრულებული სამუშაოების კონტროლის სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც მერიის მუდმივმოქმედ ინსპექტირების ჯგუფის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, ასევე საექსპერტო მომსახურების შესყიდვას, რიგ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დადგენილ ხარისხს. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 1,274.5 ათასი ლარის სამუშაოები, რომლებიც დაზიანებულია და საჭიროებს გამოსწორებას.

მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები სრულდება ხარისხიანად და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; რეგულარულად აწარმოოს შესყიდული ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, აამოქმედოს გარანტიის მექანიზმი ნაკლოვანებების/ხარვეზების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობის შესაძლებლობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

2.2.2 დაუსრულებელი და გამოუყენებელი ობიექტები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.¹⁷ მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა შეზღუდული რესურსების პირობებში დააფინანსოს და დროულად დაასრულოს ისეთი პროექტები, რომლებიც გრძელვადიანი განვითარების პირობებს შექმნის.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისა და შემენილი აქტივების განკარგვის მხრივ ხასიათდება ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა და არსებული რესურსის ეფექტიანი გამოყენება (იხ. დანართი №2). მაგალითად:

¹⁶ მიმართვა გაგზავნილია მხოლოდ გორელოვკის საჯარო სკოლის დაზიანებებზე.

¹⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. მუხლი 19.

• 2019 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის გზით ხელშეკრულება გააფორმა ქ. ნინოწმინდაში აგრარული ბაზრის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე.¹⁸ შესრულებული სამუშაოები, ღირებულებით 153.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2019 წლის ოქტომბერში. ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ბაზარი დაკეტილია და არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მოვაჭრეები არ გადადიან ახალაშენებულ შენობაში და განაგრძობენ გარე ვაჭრობას. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია ღონისძიებები გარე ვაჭრობის მოწესრიგებისა და შენობის ფუნქციური დატვირთვისათვის.

• სხვადასხვა სოფელში მოწყობილია სოფლის ამბულატორიები, საერთო ღირებულებით 696.6 ათასი ლარი. შენობები არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით და არ ფუნქციონირებს.¹⁹

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაუსრულებელი და გამოუყენებელია სპორტული,²⁰ საგანმანათლებლო,²¹ და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული პროექტები,²² თანხით 351.9 ათასი ლარი.

დასკვნა

ფინანსური აქტივების მართვის ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება. ამ მიზნით მერიამ ბიუჯეტიდან გასწია 1,201.5 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით განსაზღვრულ შედეგებს. ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებიდან ხშირ შემთხვევაში გასულია ერთ წელზე მეტი, თუმცა მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები ობიექტების ფუნქციური დატვირთვისათვის.

რეკომენდაცია N3

მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს და შეაფასოს დაუსრულებელი/უფუნქციო ობიექტების მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

2.2.3 საექსპერტო დასკვნების გარეშე ანაზღაურებული სამუშაოები

კრიტერიუმი: სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრული პროექტების მისაღებად, მუნიციპალიტეტი, როგორც წესი, სატენდერო დოკუმენტაციით და ხელშეკრულებით მიმწოდებლებისგან მოითხოვს საექსპერტო დასკვნების წარმოდგენას. სატენდერო დოკუმენტაციის

¹⁸ NAT190004730.

¹⁹ NAT190011498- 67.3 ათასი ლარი და 64.6 ათასი ლარი. NAT190014818- 66.1 ათასი ლარი, 50.0 ათასი ლარი და 65.5 ათასი ლარი. NAT190015101 - 51.4 ათასი ლარი, 64.3 ათასი ლარი, 14.7 ათასი ლარი. NAT190006976- 252.7 ათასი ლარი. სოფელ მაშვარას და სოფელ დიდი გონდრიოს ამბულატორიის მიღება-ჩაბარება მოხდა 2019 წლის ნოემბერში, დანარჩენი შვიდის კი 2020 წლის ივლისში.

²⁰ NAT180010725, NAT190010707- 90.6 ათასი ლარი, NAT180010726, CMR190113335 - 76.8 ათასი ლარი. NAT180005632-17.0 ათასი ლარი. NAT180007786- 35.8 ათასი ლარი.

²¹ NAT190014831- 72.5 ათასი ლარი.

²² NAT180006222-23.2 ათასი ლარი, CMR190113337-20.0 ათასი ლარი. CMR190113345- 16.0 ათასი ლარი;

მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულება სავალდებულოა როგორც მიმწოდებლის, ისე მუნიციპალიტეტისათვის.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში 12 ხელშეკრულების ფარგლებში,²³ მოითხოვა აკრედიტირებული საექსპერტო კომპანიის დასკვნის წარმოდგენა. ხელშეკრულების პირობით, დასკვნით უნდა დადასტურებულიყო შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობის და ღირებულების შესაბამისობა სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ აღნიშნული პროექტები მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა და მიმწოდებლებს თანხები აუნაზღაურა შესაბამისი საექსპერტო დასკვნების წარმოდგენის გარეშე (იხ.დანართი №3).

მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრა, რომ ექსპერტიზის დასკვნით მიიღებდა რწმუნებას, როგორც შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, ისე რაოდენობაზე. მიუხედავად აღნიშნული პირობისა, სამუშაოები ჩაიბარა მხოლოდ მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ ობიექტების ვიზუალური დათვალიერებით და მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 791.4 ათასი ლარი. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო რწმუნება, რომ შესრულებული სამუშაოები იქნებოდა სამშენებლო სტანდარტების შესაბამისი.

როგორც აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტების დათვალიერებით გამოვლინდა, 5 ხელშეკრულების შემთხვევაში, მიმწოდებლების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ფიქსირდება ხარვეზები და საჭიროებს გამოსწორებას.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა დაარღვია ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები, სამუშაოების მიღებისას არ მოითხოვა საექსპერტო დასკვნები და მიმწოდებლებს 791.4 ათასი ლარი აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის დადასტურების გარეშე. შედეგად, ობიექტების ნაწილი უხარისხოა და საჭიროებს გამოსწორებას.

რეკომენდაცია N4

მუნიციპალიტეტის მერიამ სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესი წარმართოს მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად და არ ჩაიბაროს ინფრასტრუქტურული პროექტები მათი მოცულობისა და ხარისხის დადასტურების გარეშე. ამასთანავე, გამოავლინოს შესაბამისი პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ აღნიშნული ობიექტების მიღება-ჩაბარებაზე და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

2.2.4 ხელშეკრულებების ადმინისტრირების ნაკლოვანებები

სამუშაოების გეგმა-გრაფიკების დაუცველობა

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებით, როგორც წესი, განსაზღვრულია სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. გეგმა-გრაფიკი წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, რათა აკონტროლოს სამუშაოების მიმდინარეობა და შეფერხებების გამოვლენის შემთხვევაში, მოახდინოს სათანადო რეაგირება. სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტს, გეგმა-გრაფიკის

²³ 50 ათას ლარზე მეტი ღირებულების ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებას ახორციელებდა შპს „ქრიზოლითი“.

დარღვევის შემთხვევაში, შეუძლია დააჯარიმოს მიმწოდებელი, ხოლო მნიშვნელოვნად დარღვევის შემთხვევაში – შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2019 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მიხედვით წარმოება გათვალისწინებული იყო ყველა ობიექტისათვის. ხელშეკრულებების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრული საჯარიმო სანქცია შეადგენდა ხელშეკრულების ღირებულების 0.1%/0.02%-ს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ცალკეული ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ გეგმა-გრაფიკის წარმოდგენისა და შემდეგ მისი დაცულობის მოთხოვნა, ზოგ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მაგალითად:

მუნიციპალიტეტმა ქ. ნინოწმინდაში ქუჩების მოასფალტების მიზნით 2018 წლის 4 აპრილს ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჯავახაშვიტოგზასთან“, სახელშეკრულებო ღირებულებით 1,828.2 ათასი ლარი.²⁴ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ივნისიდან. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ სამუშაოების მიმდინარეობისას ზედამხედველმა საექსპერტო ორგანიზაციამ წერილობით 2-ჯერ აცნობა მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის მიერ გეგმა-გრაფიკის დარღვევის შესახებ:

- 29 ივნისის მდგომარეობით, არ იყო მოწყობილი ლენინაკანის ქუჩის მიერთებებსა და კერძო შესასვლელებზე რკინის მილები, ხოლო სხვა დანარჩენ ქუჩებზე დარღვეული იყო მოსამზადებელი და მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები;
- 26 ივლისის მდგომარეობით, ხუთ²⁵ ქუჩაზე სამუშაოები მიმდინარეობდა გეგმა-გრაფიკის დარღვევით. კერძოდ, ივლისის თვის ბოლოს დამთავრებული უნდა ყოფილიყო საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოები: საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრემოვანი ნარევით და საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით. ასევე, ლენინაკანის ქუჩაზე დასრულებული უნდა ყოფილიყო რკინის მილების მოწყობა მიერთებებსა და კერძო შესასვლელებზე, რაც დაწყებულიც არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტისათვის ცნობილი გახდა მიმწოდებლის მხრიდან კალენდარული გეგმა-გრაფიკის დარღვევის შესახებ, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა არ გამოიყენეს ხელშეკრულების პირობა და მიმწოდებელს საჯარიმო სანქცია არ დააკისრეს.

მუნიციპალიტეტმა საჯარიმო სანქციები გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის არ გამოიყენა სხვა 3 ხელშეკრულების შემთხვევაშიც.²⁶ თუკი მუნიციპალიტეტი გაავრცელებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს, მიიღებდა დამატებით 10.4 ათასი ლარის შემოსავალს.²⁷

²⁴ NAT180002408.

²⁵ გრიბოედოვის, ერზრუმის, ლენინაკანის, მარჯანიშვილისა და ხაჩატურიანის ქუჩებზე.

²⁶ NAT180006222, NAT190011289, NAT190006487.

²⁷ NAT180002408 და NAT190011289 დასრულდა სახელშეკრულებო ვადაში. NAT180006222 -0.6 ათასი ლარი, NAT190006487 -9.8 ათასი ლარი

დასკვნა

გეგმა-გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების ვადებში დასრულებისა და მუნიციპალიტეტის მხრიდან პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობ მექანიზმს. მიუხედავად ამისა, გეგმა-გრაფიკის მოთხოვნაც და შემდეგ მისი დაცვის პირობაც მუნიციპალიტეტისათვის ზოგ შემთხვევაში ატარებდა ფორმალურ ხასიათს, რაც გავლენას ახდენდა სამუშაოების დროულად დასრულებაზე. გარდა ამისა, გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის ჯარიმების გაუვრცელებლობით მუნიციპალიტეტმა დაკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

სამუშაოების მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი ცვლილებები

კრიტერიუმი. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად,²⁸ შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველი ორგანიზაციისათვის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.²⁹

ფაქტობრივი გარემოება. 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვებიდან სამუშაოების დასრულების ვადები 11 შემთხვევაში გაზრდილია დაუსაბუთებლად.³⁰ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვადების ცვლილების მიზეზად ძირითადად დასახელებულია უამინდობა (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე), არახელსაყრელი და მკაცრი კლიმატური პირობები, გაუთვალისწინებელი ხარჯი, მწარმოებელი კომპანიის ტექნიკური პრობლემა და სხვ. მიუხედავად ვადის გადაწევისა, 11-დან 4 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები ვერც გაზრდილ ვადაში დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო დაწესებულებების მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს კლიმატურ პირობებსაც. მუნიციპალიტეტი შესყიდვის პროცედურას ატარებს აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, რომელსაც ეთანხმება პრეტენდენტიც. ამდენად, უამინდობის ან/და მკაცრი კლიმატის მოტივი მუნიციპალიტეტს მიწოდების ვადების გაზრდისათვის არ უნდა გაეთვალისწინებინა, არ უნდა გაეზარდა სამუშაოების დასრულების ვადა და მიმწოდებელზე გაევრცელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, რაც არ განახორციელა. თუკი მუნიციპალიტეტი 11 ხელშეკრულების ფარგლებში³¹ ვადებს არ გადასწევდა დაუსაბუთებელი და არაობიექტური მიზეზებით, მიმწოდებელზე ვადების დარღვევისათვის, დარიცხული საჯარიმო თანხა 200.0 ათას ლარზე მეტი იქნებოდა. მაგალითად:

²⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 33.

²⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

³⁰ NAT180002408, NAT180005498, NAT180006628, NAT180007786, NAT190001154, NAT190021714, NAT190015463, NAT190015101, NAT190014831, NAT190014821, NAT190014818.

³¹ NAT180002408 - 186.5 ათასი ლარი, NAT180005498 - 0.5 ათასი ლარი, NAT180006628 - 0.9 ათასი ლარი, NAT180007786 - 0.2 ათასი ლარი, NAT190001154 - 14.0 ათასი ლარი, NAT190015463 - 0.6 ათასი ლარი, NAT190015101 - 1.4 ათასი ლარი, NAT190014831 - 13.5 ათასი ლარი, NAT190014821 - 0.6 ათასი ლარი, NAT190014818 - 1.8 ათასი ლარი.

დასკვნა

• მუნიციპალიტეტმა სოფლების სათხე-ოროჯალარის და სათხე-სპასოვკის გზების მოასფალტებისთვის ხელშეკრულება გააფორმა 2019 წლის 18 მარტს, ღირებულებით 1 მლნ ლარი.³² ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 4 თვეში (ივლისში). მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, სამუშაოები უნდა დაწყებულიყო არა ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე, არამედ 24 მაისიდან.

27 მარტს მიმწოდებელმა წერილობით მიმართა მერიას, მუნიციპალიტეტში არსებული ყინვისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო, ვერ ახერხებდა სამუშაოების დაწყებას. შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სამუშაოს დაწყების თარიღად განისაზღვრა 30 აპრილი, ხოლო დასრულების თარიღად - 28 აგვისტო.

შემსყიდველი და მიმწოდებელი ინფორმირებული იყვნენ მუნიციპალიტეტის მკაცრი კლიმატური პირობების შესახებ. ამასთანავე, გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას იწყებდა მაისში და მარტის კლიმატური პირობები მასზე გავლენას ვერ იქონიებდა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ უნდა შეეცვალა ხელშეკრულების პირობები და ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უნდა დაეჯარიმებინა, რაც არ გააკეთა.

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ აკონტროლებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას და არ ატარებდა საკმარის ღონისძიებებს სამუშაოების დროულად დასასრულებლად. სამუშაოების დასრულების ვადები, ზოგ შემთხვევაში, გაზრდილია დაუსაბუთებლად, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, რითაც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გაუარესებულია ხელშეკრულების პირობები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დაკარგა დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

ამოუღებელი საჯარიმო თანხები

კრიტერიუმი. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებში, როგორც წესი, გამოიყენება საჯარიმო სანქციები (პირგასამტეხლო) ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ჯარიმების მიზანია მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2019 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის მიმწოდებლებმა რიგ შემთხვევებში დაარღვიეს ხელშეკრულებით დადგენილი მიწოდების ვადები და დაერიცხათ შესაბამისი პირგასამტეხლო, რომლის გადახდაც სავალდებულოა. მუნიციპალიტეტმა არ გაატარა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები კუთვნილი საჯარიმო თანხების მისაღებად და ზოგჯერ არ დაიცვა ხელშეკრულების პირობა მხარეთა ვალდებულებების შესახებ. კერძოდ, მერია მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების დოკუმენტს ადგენდა და სრულ

³² NAT190001154

დასკვნა

რეკომენდაცია N5

ანგარიშსწორებას ახდენდა მიმწოდებლის მიერ საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების გარეშე.

ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით აღმოჩნდა, რომ ექვსი შესყიდვის შემთხვევაში³³ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სრულად გადაუხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება, როცა მათ გადახდილი არ ჰქონდათ საჯარიმო თანხები, ჯამში 9.4 ათასი ლარის ოდენობით. ამასთანავე, მიმწოდებლებმა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ დარიცხული პირგასამტეხლო არ გადაიხადეს.

აღსანიშნავია, რომ ორი ხელშეკრულების შემთხვევაში³⁴, მხარეებს შორის შედგა მორიგების აქტი და სასამართლოს დადგენილებით დარიცხული პირგასამტეხლო 4.1 ათასი ლარი, შემცირდა 1.5 ათას ლარამდე. მიმწოდებელმა შემცირებული პირგასამტეხლო არ გადაიხადა და 2019 წლის ნოემბერში სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციით, პირგასამტეხლო გადახდილი არ არის.

მუნიციპალიტეტს არ აქვს დანერგილი ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა მიმწოდებლებისათვის დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულებას და საჯარიმო თანხების ანაზღაურებას. კერძოდ, მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაბამისი მიდგომა არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების მიმართ და არ მიმართავდა ქმედით და კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომებს საჯარიმო თანხების არგადამხდელი სუბიექტების მიმართ.

მუნიციპალიტეტის მერიამ მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი და პირობა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სამუშაოების დროულ დასრულებაზე; მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა.

გარდა ამისა, ჩაატაროს გადაუხდელი ჯარიმების ინვენტარიზაცია და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები კუთვნილი თანხების მისაღებად. მუნიციპალიტეტმა მომავალში არ დაუშვას საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას. ამასთანავე, უზრუნველყოს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

2.3 სახელმწიფო შესყიდვების მართვა

2.3.1 სატენდერო კომისიის ხარვეზები

კრიტერიუმი. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, სატენდერო დოკუმენტაციაში, კერძოდ ხარჯთაღრიცხვაში, როგორც წესი, ფიქსირებული პროცენტის სახით მიეთითება გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება. შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, აღნიშნული თანხები გამოიყენება ისეთი სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც არ არის

³³ NAT180006220, NAT180006972, NAT190006487, NAT190010607, NAT190007738, SPA180003463.

³⁴ NAT180006220, NAT180006972 ი/მ არმან პოგოსიან.

გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით. პრეტენდენტს უფლება არ აქვს შეცვალოს გაუთვალისწინებელი სამუშაოების სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი მოცულობა.

სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას. სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილი შესახებ.³⁵

ფაქტობრივი გარემოება. 2018 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა სოფელ სათხა-სპასოვკის გზის მოასფალტებისათვის,³⁶ სავარაუდო ღირებულებით – 258.0 ათასი ლარი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მიხედვით, სავარაუდო ღირებულებიდან ძირითადი სამუშაოების ფასი შეადგენდა 250.5 ათას ლარს, ხოლო გაუთვალისწინებელი ხარჯები (3%) – 7.5 ათას ლარს. ტენდერში უკონკურენტოდ გაიმარჯვა და ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ჯავახაეტოგზასთან“.

ტენდერის მონაცემების შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში „გაუთვალისწინებელი ხარჯი“ – 3% არ განაფასა და შესაბამისი თანხით გაზარდა ძირითადი სამუშაოების ღირებულება. პროექტში ასახული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ფასი შედიოდა ტენდერის და არა ძირითადი სამუშაოების ღირებულებაში და შესრულებოდა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველთან შეთანხმებით. ამდენად, სატენდერო კომისია ვალდებული იყო შერჩევა-შეფასების ეტაპზე შეესწავლა პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გამოეყენა აღნიშნული ხარვეზი და მიემართა მისი გამოსწორების მოთხოვნით. მიუხედავად ამისა, კომისიამ არ მოითხოვა დოკუმენტაციის დაზუსტება და შპს „ჯავახაეტოგზა“ გამარჯვებულად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ ხარჯთაღრიცხვის ხარვეზი ასევე არ გამოვლინდა სამუშაოების შესრულებისა და ანგარიშსწორების ეტაპზეც და შედეგად, შპს „ჯავახაეტოგზას“ ზედმეტად აუნაზღაურდა 7.4 ათასი ლარი.³⁷

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა გაუთვალისწინებელი ხარჯისათვის განსაზღვრული თანხის არასწორად ასახვისა და ზედმეტად ანაზღაურების თავიდან აცილებას. ხარვეზი არ გამოვლინდა შესყიდვის ვერც ერთ ეტაპზე და მერიამ ზედმეტად დახარჯა 7.4 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსი.

რეკომენდაცია N6

მერიამ დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შერჩევა-შეფასებისა და ანგარიშსწორების ეტაპებზე პრეტენდენტების/მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოვლენას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ და ეკონომიურ ხარჯვას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა გაატაროს ღონისძიებები ზედმეტად გადახდილი თანხის დასაბრუნებლად.

³⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები: 2011 წლის 7 აპრილის №11 ბრძანება, მუხლი 12, პუნქტი 8 და 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 5.

³⁶ NAT180002406.

³⁷ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შემცირდა გარკვეული სამუშაოების შეუსრულებლობის გამო და 254.3 ათასი ლარი შეადგინა.

2.3.2 საინფორმაციო მომსახურება

კრიტერიუმი: ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შესასყიდი საქონლის რაოდენობას, მომსახურების ან სამუშაოს მოცულობას.³⁸

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს უფლებამოსილების განხორციელებისთვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.³⁹ მუნიციპალიტეტი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაცია, ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა.⁴⁰

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში ტენდერის⁴¹ საშუალებით შეისყიდა სატელევიზიო მომსახურება, რომელშიც უკონკურენტოდ გაიმარჯვა ა(ა)იპ რადიო-ტელევიზია „ფარვანამ“.⁴² ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 100.0 ათასი ლარი შეადგინა. შესყიდვის საგანი 2018 წელს იყო, ზოგადად სატელევიზიო მომსახურება, ხოლო 2019 წელს – განისაზღვრა შემდეგნაირად:

- სატელევიზიო მომსახურების შესყიდვა ორ ენაზე (ქართულ-სომხური), რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებას ადგილობრივი ხელისუფლების, როგორც წარმომადგენლობითი, ისე აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელთა მიერ მუნიციპალიტეტში განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტებისა თუ პროგრამების შესახებ;
- საკრებულოს სხდომების ჩანაწერის მომზადება და სხდომების/თათბირების შესახებ ვიდეო რგოლების მომზადება;
- მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და მოვლენების Facebook Live - პირდაპირი ეთერის სერვისის მეშვეობით გაშუქება;
- საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ვიდეორგოლების დამზადება და გაშვება.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულ სატენდერო დოკუმენტაციებსა და ხელშეკრულებებში არ არის მითითებული თუ რა მოცულობის მომსახურების შესყიდვა ხორციელდება, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, ფასების ცხრილით განსაზღვრულია, რომ შესყიდვის საგანს წარმოადგენს კვარტალური სატელევიზიო მომსახურება, რაც არ წარმოადგენს მოცულობით პარამეტრს. შესაბამისად, გაურკვეველია როგორ განისაზღვრა ტენდერების სავარაუდო ღირებულებები და რა ფორმით დაადგინა პრეტენდენტმა მის მიერ გასაწევი მომსახურების ფასი.

ინფორმაცია შესყიდვის საგნის მოცულობაზე ასევე, ასახული არ არის მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში: დოკუმენტებში არ გაწერილა რა მომსახურება და როგორი ჯერადობით გასწია ა(ა)იპ რადიო-ტელევიზია „ფარვანამ“, რამდენი ვიდეო რგოლი და პირდაპირი ეთერი მომზადდა და

³⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 17, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

³⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 102.

⁴⁰ კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

⁴¹ SPA180000543, SPA180009883.

⁴² შპს „ფარვანამ“ უკონკურენტოდ მოიგო მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2020 წლებში გამოცხადებული ყველა ტენდერი.

როგორი ხანგრძლივობით და სხვ. შედეგად, მუნიციპალიტეტი მიმწოდებელს თანხებს უხდიდა არა კონკრეტულად გაწეული მომსახურების პროპორციულად, არამედ კვარტალურად, ერთი და იმავე თანხით,⁴³ რაც ფაქტობრივად სუბსიდიურ ხასიათს ატარებდა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სახელშეკრულებო ღირებულება ორივე წელს სრულად აუნაზღაურა და გადაუხადა ჯამში 100.0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, რადიო-ტელევიზიის მიერ გაშუქებულია მუნიციპალიტეტის ორგანოების სხდომები, კრებები, შეხვედრები მოსახლეობასთან და სხვ.

2018-2019 წლებში, გარდა სატელევიზიო მომსახურების შესყიდვისა, მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 38.2 ათასი ლარის დახარჯა სხვადასხვა სახის მომსახურების შესასყიდად (იხ.დანართი №4)

მუნიციპალიტეტმა საქმიანობის გაშუქების, ინფორმაციის გავრცელებისა და მართვაში მოსახლეობის თანამონაწილეობის ასამაღლებლად, 2018-2019 წლებში დახარჯა სულ 138.2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ამ მიზნით დაფინანსებული პროგრამები ზოგ შემთხვევაში დუბლირებულია. მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა კონკრეტული საინფორმაციო პროგრამების შესყიდვის საჭიროება.

2.3.3 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად,⁴⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს „აგაი“ სისტემის გამოყენებით,⁴⁵ ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურიდან დაშორებულია 15 კმ-ზე მეტი მანძილით და საწვავის შესყიდვა იწვევს უფრო მეტი ოდენობით რესურსების ხარჯვას, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესაბამისი ნებართვის საფუძველზე, საჭირო მოცულობის საწვავი შეისყიდოს სხვა მიმწოდებლისაგან, რომელიც ბაზრის კვლევის შედეგად, შესთავაზებს მას ყველაზე დაბალ ფასს.⁴⁶

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ავტოგასამართი სადგური. შესაბამისად,

⁴³ 12.5 ათასი ლარი.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება, 2018 წლის 30 მარტის რედაქციით.

⁴⁵ „აგაი“ სისტემა - სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებით ავტორიზებული ავტომობილის ავზზე მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი), რომლის საშუალებითაც ხდება ავტომობილის იდენტიფიცირება ავტოგასამართ სადგურზე.

⁴⁶ CON170000068, CON180000031.

მერია საწვავის შესყიდვას 2018-2019 წლებში ახორციელებდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კერძოდ, შპს „მეეკისგან“- მიღებულია 98.8 ათასი ლარის ღირებულების 42.7 ტონა საწვავი. საწვავის ხარჯვის შესწავლისას გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი სარგებლობდა საწვავის ხარჯვის ტალღური სისტემით და გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში საწვავის ათვისების მაჩვენებელი 100%-ია.

აღსანიშნავია, რომ ქ. ნინოწმინდა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის უახლოესი ავტოგასამართი სადგურიდან დაშორებული იყო დაახლოებით 18 კმ-ით, რაც მცირედით აჭარბებს დადგენილ ნორმას (15კმ). ამდენად, მუნიციპალიტეტს შეეძლო არ შეერჩია სხვა მიმწოდებელი, რადგანაც „აგაი“ სისტემის გამოყენებით საწვავის ჩასხმისას მინიმუმამდეა დაყვანილი არამიზნობრივი ხარჯვა (არასამსახურებრივი დანიშნულებით ან არავტორიზებულ ავტომანქანებში გამოყენება და სხვა) და შესაბამისად, კონტროლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა განმარტეს, რომ საწვავის შესყიდვის მიზნით ბაზრის კვლევა ხორციელდებოდა კომპანიების: შპს „მეეკის“, შპს „ვისოლ ჯგუფისა“ და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურების მონაწილეობით. ამასთანავე, უმცირესი ფასი 2018-2019 წლებში ყველა შემთხვევაში წარმოადგინა შპს „მეეკმა“, რომელთანაც ყოველთვის ფორმდებოდა საწვავის შესყიდვის ხელშეკრულება. მიუხედავად აუდიტის ჯგუფის მოთხოვნისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ბაზრის აღნიშნული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები. კერძოდ, მათი განმარტებით, საწვავის მინიმალურ ფასებს ადგენდნენ კომპანიებთან სატელეფონო საუბრებით, რომელიც დოკუმენტურად არ ფორმდებოდა.

მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ ავტოგასამართ სადგურებში საწვავის ფაქტობრივი ღირებულებების დასადგენად, აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა შპს „ვისოლ ჯგუფის“ მიერ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტისთვის შეთავაზებული ერთი ლიტრი საწვავის ფასი, რომელიც შედარდა შპს „მეეკის“ და იმავე შპს „ვისოლ ჯგუფის“ ფასებთან, რომელთაც მუნიციპალიტეტი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დოკუმენტურად წარადგენდა.

გამოვლინდა, რომ შპს „ვისოლ ჯგუფის“ მიერ სხვა მუნიციპალიტეტისათვის დაფიქსირებული ფასები უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებია მერიის მიერ შპს „მეეკისათვის“ გადახდილ ფასზე, მაგალითად, 2019 წლის თებერვალში შპს „ვისოლ ჯგუფმა“ ერთ-ერთ მუნიციპალიტეტს ერთი ლიტრი პრემიუმის ხარისხის ბენზინი შესთავაზა 2.23 ლარად. ამავე თვეში მუნიციპალიტეტმა საწვავი შპს „მეეკისგან“ შეისყიდა 2.40 ლარად; 2019 წლის მაისში შპს „ვისოლ ჯგუფის“ ერთი ლიტრი პრემიუმის ხარისხის ბენზინის ფასი იყო 2.16 ლარი. მუნიციპალიტეტმა შპს „მეეკს“ გადაუხადა 2.35 ლარი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი საწვავს ყიდულობდა იმაზე ძვირად, ვიდრე შპს „ვისოლ ჯგუფი“ ოფიციალურად და დოკუმენტურად დადასტურებულად სთავაზობდა სხვა მუნიციპალიტეტს. იმის გათვალისწინებით, რომ ბრენდირებული კომპანიების საწვავის ფასები ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც წესი, ერთნაირია, შპს „ვისოლ ჯგუფი“ ერთსა და იმავე პერიოდში მუნიციპალიტეტებს შესთავაზებდა საწვავის ერთნაირ ფასს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში გაგზავნილ

დოკუმენტებში მუნიციპალიტეტი მიუთითებდა შპს „ვისოლ ჯგუფის“ გაზრდილ ფასებს და მოიპოვებდა ხელშეკრულების სხვა მიმწოდებელთან – შპს „მეკთან“ გაფორმების ნებართვას. გამომდინარე აქედან, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტს ბაზრის კვლევა არ ჩატარებია და საწვავის დაფიქსირებული ფასები წარმოდგენს შპს „ვისოლ ჯგუფის“ ავტოგასამართ სადგურებზე გამოცხადებულ და არა მუნიციპალიტეტისთვის შეთავაზებულ ფასებს.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს „მეკისგან“ საწვავს ასევე ყიდულობდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ კომუნალური, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური და ა(ა)იპ ნინოწმინდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი. ა(ა)იპებს 2018-2019 წლებში სულ შესყიდული აქვთ 162.8 ათასი ლარის საწვავი.⁴⁷

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ ჩაატარა ბაზრის კვლევა და 261.6 ათასი ლარის საწვავი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შეუსაბამოდ, გაზრდილი ღირებულებით, საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.

რეკომენდაცია N7

მერიის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა განიხილონ საწვავის კონსოლიდირებულ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებში შესყიდვის შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში, რეგულარულად ჩაატარონ სათანადო ბაზრის კვლევა, მოიძიონ ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი კომპანია და უზრუნველყონ საწვავის შესყიდვა საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის პროცესს და საბიუჯეტო თანხების დაზოგვას.

2.4 ქონების მართვა და განკარგვა

2.4.1 მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული აქტივების განკარგვის ხარვეზები

კრიტერიუმი. კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია შემდეგი ფორმების გამოყენებით: აღნაგობა, უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვ.⁴⁸ მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მხარეებს შორის იდება ხელშეკრულება. მუნიციპალური ქონებით მოსარგებლე პირი იხდის შესაბამის საფასურს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა.

ფაქტობრივი გარემოება. საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის პროცესი მუნიციპალიტეტში ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით, კერძოდ:

- 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული იყო 33 ობიექტი.⁴⁹ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის 22

⁴⁷ ა(ა)იპ „კომუნალური, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური“ -154.4 ათასი ლარი და ა(ა)იპ „ნინოწმინდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“-8.4 ათასი ლარი.

⁴⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 122.

⁴⁹ მათ შორის, 31 ობიექტი 2007-2010 წლებში გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებია (სამოვრები), ხოლო 2 – სახნავ-სათესი მიწა. იჯარით გაცემული სამოვრების საერთო ფართობია 5369 ჰა, ხოლო სახნავ-სათესი მიწის – 3.7 ჰა. წლიური ქირა შეადგენს 1 ჰა-ზე 8 ლარს. ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, იჯარის ხანგრძლივობა შეადგენდა 10 წელს.

ხელშეკრულების ვადა გასული იყო.⁵⁰ მიუხედავად ამისა, 20 მოიჯარე კვლავ აგრძელებდა მიწის ნაკვეთებით სარგებლობას, ხოლო 2 შემთხვევაში – სამოვარი გადავიდა სოფლის მოსახლეობის საერთო სარგებლობაში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, იმ მოიჯარეებთან, რომლებიც აგრძელებდნენ სამოვრებით სარგებლობას, არ გაფორმებულა ახალი ხელშეკრულება, თუმცა ზოგი მათგანი მაინც იხდიდა პირვანდელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ საიჯარო ქირას.⁵¹

2017-2020 წლებში მიწით უნებართვოდ მოსარგებლე პირების გადაუხდეელი საიჯარო ქირა შეადგენს სულ 14.8 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ მიწები იჯარით გაცემულია 2007-2010 წლებში და შესაბამისად მათი საბაზრო ღირებულება ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამდენად, მეიჯარისათვის მიუღებელი შემოსავალი ფაქტობრივად უფრო მეტია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია ღონისძიებები საიჯარო ურთიერთობების დასარეგულირებლად და კუთვნილი თანხების მისაღებად.

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია პუშკინის ქუჩა №47-ში მდებარე 42 კვ.მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.⁵² აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა (ჯიხური) და გამოიყენება კომერციული საქმიანობისათვის. ამასთან, მიწის ნაკვეთი დაკავებულია თვითნებურად და იყენებს არაუფლებამოსილი პირი, თუმცა არ იხდის ქონებით სარგებლობის საფასურს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტი ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული ფართის უნებართვოდ გამოყენების შესახებ, არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები ფართის კანონიერად განკარგვის მიზნით.

დასკვნა

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, სათანადოდ არ არის დაცული მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის კანონიერი ინტერესები, რის გამოც მერიამ ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავლები.

რეკომენდაცია N8

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა შეიმუშაონ სტრატეგია საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, განკარგვისა და სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ, მუნიციპალიტეტის ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებისა ან/და დროულად გამოვლენის მიზნით. მიზანშეწონილია, თვითმმართველმა ერთეულმა აღნიშნული ქონება გასცეს სარგებლობის უფლებით, რაც ხელს შეუწყობს, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ადგილობრივ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობას.

2.4.2 დასუფთავების მოსაკრებლის

კრიტერიუმი: კანონის მიხედვით, ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁵³ მუნიციპალიტეტში,

⁵⁰ ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდა 2017-2020 წლებში.

⁵¹ სულ გადახდილია 12.8 ათასი ლარი.

⁵² საკადასტრო კოდი 65.12.32.413

⁵³ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი პირველი.

ადმინისტრირების ნაკლოვანება

საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.⁵⁴ მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ორგანო.

ფაქტობრივი გარემოება. წარმოდგენილი მონაცემებით, 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ფიზიკური პირების მიერ გადაუხდელი დასუფთავების მოსაკრებელი შეადგენს 43.8 ათას ლარს, ხოლო იურიდიული პირებიდან – 7.7 ათას ლარს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფიზიკურ პირებზე დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა ხორციელდება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მეშვეობით, ელექტროენერგიის გადასახადთან ერთად.⁵⁵ იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც იურიდიული პირები იხდიან დასუფთავების გადასახადს. დარიცხული მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, მერიას არ აქვს შემუშავებული ღონისძიებათა გეგმა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები არც ფიზიკური და არც იურიდიული პირებისათვის. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი სრულად ვერ იღებს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავლებს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოსაკრებლის ამოღების სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია N9

მერიამ შეიმუშაოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ინსტრუქცია და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას.

2.5 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს, დააფუძნოს ა(ა)იპ/შპს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს.⁵⁶ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციაში და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁵⁷

ფაქტობრივი გარემოება: დაფუძნებული სუბიექტების⁵⁸ ფუნქციონირების პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო

⁵⁴ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 მარტის №5 და 2018 წლის 30 მარტის №27 დადგენილება.

⁵⁵ დასუფთავების გადასახადის გადაუხდელობა არ არის მიბმული ელექტროენერგიის გათიშვასთან.

⁵⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 1 და პუნქტი 2, მუხლი 106.

⁵⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ.“

⁵⁸ 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებდა 12 იურიდიულ პირს. მათ შორის, ერთ შპს-ს და 11 ა(ა)იპ-ს. აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან იურიდიული პირების დაფინანსებაზე გაცემულია 2,902.1 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტის გადასახდელების 35 %-ს შეადგენს. იურიდიული პირების მიერ მიღებული დაფინანსების მეტი წილი (80%) გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე.

იურიდიული პირების ეფექტიანი მართვა, რის გამოც მათ საქმიანობაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ბაგა-ბაღების მართვას ახორციელებს 2 ა(ა)იპ - ა(ა)იპ „წიწერნაკ“ და ა(ა)იპ „ძნწალიკ“. 2018-2019 წლებში ა(ა)იპების დაფინანსებაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 943.2 ათასი ლარი. ორივე ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 128 თანამშრომელი.⁵⁹ ა(ა)იპ „წიწერნაკში“⁶⁰ გაერთიანებულია 11 ბაღი, მათ შორის 2 ქალაქ ნინოწმინდაში, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა სოფლებში. სულ 2018-2019 წლებში ბაგა-ბაღების გაერთიანებაში დარეგისტრირებული იყო 1359 აღსაზრდელი.⁶¹

ა(ა)იპ „ძნწალიკ“⁶², ფუნქციონირებს სოფელ განძაში და შედის ამ სოფლის ერთი ბაღი. 2018-2019 წლებში დარეგისტრირებული იყო სულ 280 აღსაზრდელი.

აღსანიშნავია, რომ ორივე იურიდიული პირი აღსაზრდელებს სთავაზობს ერთნაირ მომსახურებას - „წიწერნაკის“ სოფლის ბაღები და „ძნწალიკის“ განძის საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს დღის პირველ ნახევარში, ასევე, ბავშვები უზრუნველყოფილი არ არიან კვებით.⁶³ აღნიშნული საქმიანობა თავისი მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეუცვლელად, შესაძლებელია განხორციელდეს ერთი ორგანიზაციის მიერ. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რატომ გახდა საჭირო სოფელ განძის საბავშვო ბაღისათვის ცალკე ა(ა)იპ-ის დაარსება და რატომ არის უფრო ეფექტიანი და მეტი შედეგის მომტანი აღნიშნული საქმიანობისათვის ორი ა(ა)იპ-ის ფუნქციონირება. ასევე, მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა ერთნაირი ფუნქციის მქონე ა(ა)იპ-ებზე ორმაგი ადმინისტრაციული ხარჯის გაწევის მიზანშეწონილობა. 2018-2019 წლებში ა(ა)იპ-ებში ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებაზე სულ დაიხარჯა 133.7 ათასი ლარი.⁶⁴

- მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილია ა(ა)იპ სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება, რომელსაც დებულების მიხედვით, ძირითადად, ევალება განუვითაროს ბავშვებს სხვადასხვა მიმართულების უნარ-ჩვევები. 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ-ის დაფინანსებისათვის სულ დახარჯულია 112.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ - ში შექმნილია 15 სხვადასხვა მიმართულების წრე, მათ შორის, ერთი - კულინარიის და ორი - კომპიუტერის შემსწავლელი წრეები. აღნიშნული წრეების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინვენტარი, რასაც სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება არ ფლობს. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა ა(ა)იპ-ის ფუნქციონირების ადგილი. გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ-ს არ გააჩნია კომპიუტერები და კულინარიის შესწავლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - სამზარეულოს ინვენტარის სახით.⁶⁵ ამ წრეების შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ვერ

⁵⁹ ა(ა)იპ „წიწერნაკ“-108 დასაქმებული, ა(ა)იპ „ძნწალიკ“ - 20 დასაქმებული.

⁶⁰ დაფუძნებულია 2008 წელს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ბრძანება №69

⁶¹ 2018 წელი -647, 2019 წელი -712

⁶² დაფუძნებულია 2015 წელს. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანება №136

⁶³ კვება არის ქალაქ ნინოწმინდის მხოლოდ 2 ბაღში.

⁶⁴ ა(ა)იპ „წიწერნაკ“ - 99.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ძნწალიკ“ 34.7 ათასი ლარი.

⁶⁵ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ინვენტარი დააქვთ დაწესებულების აღსაზრდელებს.

დასაბუთეს რამდენად ეფექტიანია სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულების მიერ ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაო, დახარჯულ ფინანსურ რესურსთან მიმართებით.

- 2019 წლიდან სამცხე-ჯავახეთის მხარეში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“, რომელთა დამფუძნებლები არიან მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტები. აღნიშნული ორგანიზაცია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტმა 2019 წელს დააფინანსა გრანტით – 12.5 ათასი ლარის ოდენობით. პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, ორგანიზაცია ტურისტული პროფილისაა და მონაწილეობდა სხვადასხვა ტურისტულ ღონისძიებაში. ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები განხორციელებული სამუშაოებისა და აქტივობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება იმისა, თუ რა შედეგის მომტანია და რა აუცილებლობით არის გამოწვეული ამ ა(ა)იპ-ის დაფინანსება, როდესაც მერიაში შექმნილია მსგავსი მიმართულების განყოფილება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები ვერ უზრუნველყოფენ განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ფინანსური რესურსების მიზანშეწონილ ხარჯვას. მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ორგანიზაციის საქმიანობაში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და არსებული შეუსაბამოების აღმოფხვრა/პრევენცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა ობიექტური საჭიროებით არის განპირობებული ზოგიერთი ა(ა)იპ-ის და შტატის არსებობა.

რეკომენდაცია N10

მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მდგომარეობა. განსაზღვროს რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. აგრეთვე მნიშვნელოვანია განხორციელდეს ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა უფლებამოსილების და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი. შესაბამისად, საბიუჯეტო რესურსების რაციონალურად ხარჯვის ხელშეწყობის მიზნით, მერიამ შეაფასოს დაფუძნებული იურიდიული პირების სარგებლიანობისა და არსებული საკადრო პოლიტიკის საკითხი და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელიც გაზრდის მათი საქმიანობის ეფექტიანობას.

2.6 ადმინისტრაციული ხარჯები

2.6.1 საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში

მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.⁶⁶

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.⁶⁷

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესით.⁶⁸ დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებში, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩეველთან შეხვედრების, აგრეთვე საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილების და ვალდებულების განხორციელების მიზნით, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) გაწეული ხარჯების ზღვრული ოდენობა განესაზღვრა ყოველთვიურად 400 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოს არათანამდებობის წევრებს 2018-2019 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 63.1 ათასი ლარი.⁶⁹ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძველად მითითებულია საკრებულოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათები საკრებულოს წევრებისათვის ხარჯის ანაზღაურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს. შესაბამისად, საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმომადგენელი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძველად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხარვეზი დაფიქსირებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა აუდიტის ანგარიშშიც. მიუხედავად ამისა, მერიას სათანადო რეაგირება არ განუხორციელებია და დარღვევა კვლავ ფიქსირდება.

დასკვნა

2018-2019 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 63.1 ათასი ლარი გაიცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.7 მმართველობითი გადაწყვეტილებები

კრიტერიუმი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის

⁶⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁶⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁶⁸ საკრებულოს 2015 წლის 29 იანვრის №1 დადგენილება.

⁶⁹ 2018 წელს – 34.3 ათასი ლარი, 2019 წელს – 28.8 ათასი ლარი.

2.7.1 საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში სხვა მონაცემებთან ერთად უნდა მოიცავდეს განმარტებას, პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის შესახებ, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს.⁷⁰

ფაქტობრივი გარემოება. არსებული მართვის სისუსტეების გამო, 2018-2019 წლების საბიუჯეტო პროცესი ზოგ შემთხვევაში ხასიათდება ხარვეზებით და არ შეესაბამება კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს 2017 წელს არ გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო მომავალი წლის ბიუჯეტის ფარგლებში პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

- მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშები არ მოიცავს პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, მიუხედავად იმისა, რომ შეუსაბამობა აღემატება 30%-ს. შესწავლით გამოვლინდა, რომ 20 შემთხვევაში პროგრამების საკასო შესრულება დაზუსტებული გეგმის 70%-ზე ნაკლებია. ცალკეული პროგრამების საკასო შესრულების მაჩვენებლები მაგალითისათვის წარმოდგენილია დანართში №5.

2.7.2 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,⁷¹ ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, საბიბლიოთეკო ფონდებისა, იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაცია ჩატარდა საანგარიშგებო წლის პირველი სექტემბრის შემდეგ, ასევე 10 წელზე მეტი ხანდაზმულობის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა. აღნიშნული აქტივებისა და ვალდებულებებისათვის ბრძანებით განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების სხვადასხვა ვადა და პერიოდულობა.

ფაქტობრივი გარემოება. 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა. მათ შორის, არ განხორციელებულა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაცია, რაც სავალდებულოა სამ/ხუთ წელიწადში ერთხელ.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული აქტივები არ არის ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე.

⁷⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 76, პუნქტი 3; მუხლი 87, პუნქტი დ.

⁷¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.

დასკვნა

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობაზე. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, მისი კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხარვეზი დაფიქსირებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა აუდიტის ანგარიშშიც. მიუხედავად ამისა, მერიას სათანადო რეაგირება არ განუხორციელებია და დარღვევა კვლავ ფიქსირდება, რაც დაუშვებელია.

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია N11

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა.

2.8 შიდა აუდიტი

კრიტერიუმი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁷² შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და დაწესებულების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია. შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია ასევე შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშების პროცესში.

შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობას ახორციელებს სტრატეგიული გეგმის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს აუდიტის სუბიექტის უფროსი, ხოლო ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს სამწლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს. შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას ეფუძნება შიდა აუდიტის წლიური გეგმა და ასახავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.⁷³

შიდა აუდიტის მიზანია არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.⁷⁴

⁷² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 3.

⁷³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 21.

⁷⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 18.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის განყოფილება სტრუქტურულად წარმოადგენს მერიის იურიდიული სამსახურის შემადგენელ სუბიექტს და ფუნქციურად ექვემდებარება აღნიშნულ სამსახურს. აღნიშნული გარემოება ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონს და გავლენას ახდენს სამსახურის დამოუკიდებლობაზე.

გარდა ამისა, 2018-2019 წლებში შიდა აუდიტის განყოფილებას არ შეუმოწმებია მუნიციპალიტეტის არცერთი სამსახურის საქმიანობა, აუდიტორული შემოწმება შეეხო მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი აუდიტის ანგარიშების ანალიზით გაირკვა, რომ ანგარიშებში არ არის დაფიქსირებული კონკრეტული გარემოებები; არ ასახავს ობიექტების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას; არ არის გაცემული რეკომენდაციები დარღვევა-ნაკლოვანებების და სისტემური დარღვევების აღმოსაფხვრელად. შიდა აუდიტის განყოფილებას არ განუხორციელებია შემოწმებული ობიექტების რისკის შეფასების სათანადო პროცედურები, რომელთა საფუძველზე უნდა მომხდარიყო ობიექტების საქმიანობაში ძირითადი რისკების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, შიდა აუდიტის განყოფილების 2018-2019 წლების საქმიანობის გეგმებში არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ანალოგიური ხარვეზი დაფიქსირებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა აუდიტის ანგარიშშიც. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირება განხორციელებული არ არის და დარღვევა კვლავ ფიქსირდება.

დასკვნა

შიდა აუდიტის განყოფილების სტრუქტურული მოწყობა ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და შესაბამისად შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობა არ შეესაბამება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ასევე, განყოფილების საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია N12

მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურული დამოუკიდებლობა და საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც განახორციელებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2.9 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში 01.00 და 03.00 პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის

დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება.

აუდიტის სამსახურმა 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოთქვა მოსაზრება „უარი დასკვნის გაცემაზე“. უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტი არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას, შესაბამისად, არ შეუდგენია პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგება, ასევე არ იყო ჩატარებული ინვენტარიზაცია. მუნიციპალიტეტმა ნაწილობრივ გამოასწორა კონკრეტული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის საკითხი, თუმცა ისევ არ შეუდგენია ფინანსური ანგარიშგება და არ ჩატარებია ინვენტარიზაცია. შესაბამისად, აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესი კვლავ მოუწესრიგებელია.

რაც შეეხება 2018 წელს ჩატარებული შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში გამოვლენილ გარემოებებს, მუნიციპალიტეტს ნაკლოვანებები არ გამოუსწორებია და ხარვეზები ისევ ფიქსირდება. კერძოდ:

- არ არის მიღებული მიმწოდებლებზე მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული საჯარიმო სანქციები 9.0 ათასი ლარი;
- არ დაბრუნებულა ზედმეტად გადარიცხული დღგ-ს თანხა 23.2 ათასი ლარი;
- არ დასრულებულა აუდიტის ანგარიშში ასახული დაუსრულებელი მშენებლობები;

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშგებაში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება.

აუდიტორები

ხელმოწერა

ქრისტინე ევალაძე
უფროსი აუდიტორი



თათია ამბროლაძე
აუდიტორი



პაატა კუბლაშვილი
აუდიტორი



დანართები

დანართი №1

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი).

№	მიმწოდებელი	შესყიდვის ნომერი	ღირებულება	სამუშაოს დასახელება	დაზიანება
1	შპს ჯავახაძე ოგზა	NAT1800 02408	154.8	ერზრუმის ქუჩის მოასფალტება	გზის გარკვეული ნაწილზე დაზიანებულია საფარის ზედა ფენა და დამტკვრულია
2	შპს ჯავახაძე ოგზა	NAT1800 15281	115.6	ქ. ნინოწმინდაში სევაკის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები.	გზის მცირე მონაკვეთი დაზიანებულია, ჭის თავეები უსწორმასწოროა
3	შპს ჯავახაძე ოგზა	18000240 8	107.1	ჩარენცი- რუსთაველის ქუჩების გადაკვეთის მოასფალტება	გზის მცირე მონაკვეთი დაზიანებულია, ჭის თავეები უსწორმასწოროა
4	შპს ჯავახაძე ოგზა	18000240 8	54.5	ხაჩატრიანის ქუჩის მოასფალტება	აღენიშნება გრძივი და განივი ბზარები
5	შპს ჯავახაძე ოგზა	NAT1900 08372	53.5	სომხეთის ქუჩის მოასფალტება	გზის კიდესთან გარკვეული მონაკვეთზე არ შეინიშნება ასფალტის საფარი
6	შპს კ- კომპანია	NAT1800 20335	417.7	სოფელ გორელოვკის მესამე საჯარო სკოლის სამშენებლო- სარეაბილიტაცი ო სამუშაოები	ლამინირებული იატაკი ზოგიერთ ოთახში ამოხრულია, სამღებრო სამუშაოები რამდენიმე ოთახში დაზიანებულია. არის გათბობის პრობლემა-მოსაწყობია დამატებითი ცირკულაციის ტუმბო
7	არმან პოგოსიან	NAT1800 06220	55.2	სოფელ განძაში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	ზოგ ადგილას კედლები დაზარალებულია, საღებავი ჩამოყრულია
8	შპს მაკშენი	NAT1800 16971	8.6	სოფელ განძაში რიტუალების სახლის სამშენებლო სამუშაოები	კედლები დაზიანებულია, ჩამოყრულია საღებავი, შენობის ირგვლივ ბეტონი დაზარალებულია
9	ნორაირ ნალბანდი ან	NAT1800 07015	30.7		
10	შპს დიანა	NAT1900 14821	42.2		
11	არშალუის აგდჟოიან	CMR1901 13014	20.0	სოფელ სათხეში სპორტდარბაზი ს სარემონტო სამუშაოები	კედლები ზოგ ადგილას სველია, იატაკი აყრილია
12	შპს ეგრისი	NAT1900 21714	17.0		
13	გალუსტ თაზიან	CMR1901 13119	6.0	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ ოროჯალარის სკოლის ეზოს მოწყობა	ეზოში დაგებული ბეტონი ზოგ ადგილას აყრილია, ზოგან დაზარალებული. ორი კარი შეღებილი არ არის.

14	შპს არმან	NAT1900 06487	100.5	ქ.ნინოწმინდის #3 საჯარო სკოლის სარეაბილიტაცი ო სამუშაოები	ერთ ადგილას ჭერი ჩამოვარდნილია, ზოგ ადგილას კედლებიდან საღებავია ჩამოყრილი, ფასადი ზოგ ადგილას დაზიანებულია, სკოლის ირგვლივ ბეტონი დაზარულია
15	გალუსტ თაზიან	NAT1900 17405	6.3	ქ.ნინოწმინდაში რიტუალების სახლის კეთილმოწყობა	ბეტონი ზოგ ადგილას დაზარულია და ზოგ ადგილას აყრილია
16	არმან პოგოსიან	NAT1800 06972	65.1	ქ.ნინოწმინდაში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	კედლებზე აღინიშნება ბზარები, საღებავი ჩამოყრილია, ბაღის ეზოში დაგებული ფილები ზოგ ადგილას ამოვარდნილია
17	არმან პოგოსიან	NAT1800 06220	19.7	სოფელ განძს საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	კედლებზე აღინიშნება დაზიანებები, როგორც შიგით, ასევე გარე ფასადზე

დანართი №2

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი).

№	მიმწოდებელი	შესყიდვის ნომერი	ღირებულება	სამუშაოს დასახელება	მიზეზი
1	ი/მ ალვან ქოსიან	NAT1900148 18	50.0	პატარა ხანჩალის ამბულატორია	შენობაში არ არის ავეჯი და უფუნქციოა
2	ი/მ ალვან ქოსიან		65.5	დიდი ხანჩალის ამბულატორია	შენობაში არ არის ავეჯი და უფუნქციოა
3	ი/მ ალვან ქოსიან		66.1	სოფელ დიდ არაქალში ამბულატორიის სამშენებლო სამუშაოები	ამბულატორიის ირგვლივ ბეტონზე აღინიშნება ბზარები. ჯერ შეტანილი არ არის სამედიცინო ინვენტარი და არ ფუნქციონირებს.
4	შპს კ- კომპანია	NAT1900069 76	252.7	სასწრაფო- სამედიცინო დახმარების ცენტრი	შენობაში არ არის ავეჯი და უფუნქციოა
5	შპს კ- კომპანია	NAT1800107 26	64.8	სოფელ ყაურმის სპორტ დარბაზის მშენებლობა	პროექტი დაუსრულებელია, ამოყვანილია კედლები, ჩასმულია კარ-ფანჯარა.
6	ი/მ მაის ხაჩატრიან	CMR1901133 35	12.0		
7	ი/მ ალვან ქოსიან	NAT1900151 01	14.7	სოფელ თორიას ამბულატორია	შენობაში არ არის ავეჯი და უფუნქციოა
8	ი/მ ალვან ქოსიან	NAT1900151 01	51.4	სოფელ ქდანოვაკანის ამბულატორიის სამშენებლო სამუშაოები	სამედიცინო ინვენტარი არ არის შეტანილი, შესაბამისად, ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს

9	ი/მ ალვან ქოსიან	NAT1900151 01	64.3	სოფელ ჯიგრაშენი ამბულატორიის სამშენებლო სამუშაოები	სამედიცინო ინვენტარი არ არის შეტანილი, შესაბამისად, ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს
10	ამხანაგობა ტაბოლი	NAT1900114 98	67.3	სოფელ მამწვარას ამბულატორია	შენობაში არ არის ავეჯი და უფუნქციოა
11	ამხანაგობა ტაბოლი	NAT1900114 98	64.6	სოფელ დიდი გონდრიოს ამბულატორია	შენობაში არ არის ავეჯი და უფუნქციოა
12	შპს დიანა	NAT1900148 31	72.5	სოფელ ჯიგრაშენში ყოფილი კოლმეურნეობის შენობის საბავშვო ბაღად რეკონსტრუქციის სამუშაოები	ბაღის მშენებლობა უნდა გაგრძელდეს, დასრულებული არ არის და არ ფუნქციონირებს
13	რაზმიკ ლუმაშიან	NAT1800077 86	35.8	სოფელ ოროჯალარში მინი სტადიონის სამშენებლო სამუშაოები	სტადიონის მშენებლობა დაიწყო 2018 წელს, დასრულებულია მხოლოდ ბეტონი და დაყენებულია 2 კარი. ამჟამად დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს
14	ალვან ქოსიან	NAT1800107 25	55.0	სოფელ განძაში სპორტდარბაზის სამშენებლო სამუშაოები	სპორტდარბაზი დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს
15	შპს დეგო	NAT1900107 07	35.6		
16	რაზმიკ ლუმაშიან	NAT1900047 30	153.0	აგრარული ბაზრის სამშენებლო სამუშაოები	ბაზარი დაკეტილია და არ ფუნქციონირებს
17	რაზმიკ ლუმაშიან	NAT1800056 32	17.0	მინი სტადიონის მშენებლობა (II ეტაპი)	ბეტონს აღენიშნება ბზარები, უჯრედოვანი ფოლადის ბადის გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. ხელოვნური საფარი დაგებული არ არის, შესაბამისად დაუსრულებელია
18	ი/მ რუბიკ ხნკოიან	CMR1901133 45	16.0	სოფელ დიდი გონდრიოს სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	შესყიდულია მილები და დასაწყობებულია ადმინისტრაციულ შენობაში
19	ი/მ სამველ კაჯოიანი	CMR1901133 37	20.0	დიდი ხანჩალის სასაფლაოს შემოღობვა	შემოღობილია ცარიელი ტერიტორიის მხოლოდ 2 მხარე, დაუსრულებელი და უფუნქციოა. ღობის მცირე ნაწილი დაზიანებულია

20	არმან პოგოსიან	NAT1800062 22	23.2	სოფელ ქდანოვკანში რიტუალების სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს
----	-------------------	------------------	------	--	--------------------------------------

დანართი №3

ინფორმაცია პროექტების შესახებ, რომელზეც არ არის წარმოდგენილი
ექსპერტიზის დასკვნები (ათასი ლარი)

№	შესყიდვის ნომერი	შესრულებული სამუშაო	ხელშეკრუ- ლების ღირებულე ბა	მიმწოდებელი
1	NAT180016 971	რიტუალების სახლის რეაბილიტაცია	8.9	შპს „მაკშენი“
2	NAT180013 192	კლუბის რეაბილიტაცია	27.0	ალვან ქოსიან
3	NAT190017 405	რიტუალების სახლი რეაბილიტაცია	6.4	გალუსტ თაზაიან
4	NAT190017 404	საკანალიზაციო სისტემა	44.4	შპს „ვერძი“
5	NAT190010 700	რიტუალების სახლი რეაბილიტაცია	16.6	ვარდ მკოიან
6	NAT190010 607	სანიადვრე არხები	40.0	შპს „ჯავახაძეთა“
7	NAT190010 604	რიტუალების სახლი რეაბილიტაცია	44.5	შპს „დიგაშენ“
8	NAT190006 485	საფანჯრე ბლოკების შეცვლა	21.5	შპს „კარკოვზი“
9	NAT190017 891	სტადიონის ღობის მშენებლობა	32.2	შპს „დიგაშენ“
10	NAT190014 821	რიტუალების სახლის რეაბილიტაცია	42.2	შპს „დიანა“
11	NAT180020 335	სოფელ გორელოვკის მესამე საჯარო სკოლა	407.2	შპს „კ-კომპანია“
12	NAT190006 487	ქ. ნინოწმინდის მესამე საჯარო სკოლა	100.5	შპს „არმან“

2018-2019 წლების საინფორმაციო მომსახურება (ათასი ლარი)

დანართი №4

მიმწოდებელი	საინფორმაციო მომსახურება	ღირებულება
შპს „ბიზნესკონტინენტ ი“	www.businesscont.com ინფორმაციის განთავსების მომსახურება	1.0
შპს „გაზეთი ვრასტანის“	გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნების მომსახურება	16.0
შპს „მედიპოლიდინგი პროფ-ნიუსი“	საინფორმაციო ინტერვიუს განთავსება ჟურნალში „პროფესიონალი“	1.6

ი/მ ინგა ქვარცხავასგან	მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის შესახებ ილუსტრაციის, ინტერვიუს და ინფორმაციის მომზადება და განთავსება კატალოგში „ფაქტები საქართველოს რეგიონები 2017“	2.0
შპს „მეურვისგან“	მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე საინფორმაციო ხასიათის ფოტო და წერილობითი მასალების მრავალჯერადი განთავსება ვებგვერდზე www.guardian.ge	9.9
შპს „გაზეთი ლიტერატურული მესხეთისგან“	საინფორმაციო მასალების გაზეთში გამოქვეყნება	2.0
შპს „ინფონიუსისგან“	ახალი ამბების სააგენტოს მომსახურება ვებგვერდის www.newpress.ge საშუალებით	4.8

დანართი №5

პროგრამების საკასო შესრულების მაჩვენებლები, სადაც შეუსაბამობა 30%-ზე მეტია (ათასი ლარი)

წელი	პროგრამის დასახელება	დაზუსტებული ასიგნება	საკასო შესრულება	შესრულების %
2018	წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	151.3	39.9	26
2018	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,300.5	616.3	47
2018	რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა	1,275.8	600.2	47
2018	ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის	58.9	37.0	63
2019	ქ. ნინოწმინდაში ტროტუარების კეთილმოწყობა	50.0	0	0

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38